MES 3 20 0000719360

24/08/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:53
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (მე-2 და მე-3 საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე : თამარ ტუფინაშვილი (1-ლი საკითხი)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (1-ლი და მე-2 საკითხები)
სხდომის მდივანი:გიორგი თურქია (მე-3 საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის თავმჯდომარე;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე**- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;
9. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
5	ნინო შიოშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	რექტორის მრჩეველი	I
3	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	I

5	მანანა ვასაძე	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელი	I
6	ნოე ხოზრევანიძე	სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	I
7	შალვა მაკარაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	სოფიო ხუნდაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	II
9	ნინო პატარაია	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
10	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	III
11	ვახტანგ წივწივაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კანცლერი	III
12	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
13	ოლან გოცირიძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გვანცა ძიძიგური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ეგესარიონ ლასარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ანა ხითარიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ლევან გულუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მამუკა კოტეტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	გვანცა ძიძიგური	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - დიმიტრი გეგენავამ. ამავე ნორმის საფუძველზე, სხდომაზე განსახილველ პირველ საკითხზე სხდომას წარუძღვა თამარ ტუფინაშვილი, ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხის განხილვისას სხდომის მდივნად განისაზღვრა გიორგი თურქია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრმის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნვიერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0192 დ. გურამიშვილის გამზ. №17, მე-11 კორპუსი.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს - დიმიტრი გეგენავამ და ზურაბ გვიშიანმა.
თვითაცილების საფუძველი - ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
პირველი საკითხის განსახილველად საბჭომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა თამარ ტუფინაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 22 ივნისს. აკრედიტაციის (ექსპერტთა) ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შეხვედრა ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით. რესპონდენტები ამომწურავად და დეტალურად პასუხობდნენ ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სსიპ - საქართველის ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 2.1, 2.3, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.4, 5.2, და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 1.2, 2.2, 2.4, 4.3, და 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სასწავლო კურსების სპეციფიკა;
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კურიკულუმი/სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო კურსები მეტად უნდა

პასუხობდეს დარგის სპეციფიკას/მოთხოვნებს: იგულისხმება მიმართულება: მთის მდგრადი ტურიზმი - ახალი ნიშა, რომელიც წახალისებული და მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ (2019 წლის 4 აპრილის #751 საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“);
3. დაზუსტდეს სასწავლო კურსების სახელწოდებები, როგორიცაა: ტურიზმის შესავალი, კლიენტთა მომსახურება, მთის უსაფრთხო ტურიზმი, მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები, ტურიზმი მთის რეგიონებში, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია;
4. გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
5. კურიკულუმში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბრენდინგი, მომხმარებლის ქცევა, ლოჯისტიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, კურორტოლოგია, დაზღვევა და უსაფრთხოება, ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;
6. გადამოწმდეს სასწავლო კურსების: ,,ტურიზმი მთის რეგიონებში, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა“ სილაბუსების შინაარსი საკითხების განმეორების/დაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით;
7. საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად გარდა საველე პრაქტიკისა განისაზღვროს დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსებიც;
8. პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის პროფილის განსაზღვრა წარმოდგენილი პროგრამის (სამთო ტურიზმი, მდგრადი განვითარება) სპეციფიკიდან გამომდინარე;
9. გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების წესების შესახებ;
10. პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების აქტიური ჩართვა;
11. სტუდენტების და კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართვის მექანიზმის ამოქმედება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ აკრედიტაციის მიზნით 2020 წლის 12 ივლისს განხორციელებული ექსპერტთა ვიზიტის შედეგად შემუშავებულ დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციები და პროგრამის განვითარების რჩევები განხილული იქნა სამიზნე ჯგუფის მიერ. დასკვნის პროექტში გამოთქმული მოსაზრებები ერთმნიშვნელოვნად საჭირო და სასარგებლოა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ შემდგომი განვითარებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ცალკეული რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ :
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მას აღნიშნა, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, აგრეთვე შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები, რომლებიც წარედგინათ ექსპერტებს ვიზიტისას. ერთდროულად მოხდება სწავლის შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 33 ძირითადი საგნიდან 18 უშუალოდ ტურიზმზეა (მათ შორის, მთის ტურიზმზე) ორიენტირებული; აგრეთვე, 7 არჩევითი სასწავლო კურსიდან 6 აუცილებელია ტურიზმის ბიზნესის შესასწავლად. გარდა ამისა, პროგრამაში შედის სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“ და „ საბაკალავრო ნაშრომი“. 14 სასწავლო კურსი ორგანულ კავშირშია მდგრად განვითარებასთან.
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, დაწესებულებამ განმარტა, რომ კურსების დასახელებები ძირითადად განპირობებულია უცხოური ანალოგიური სპეციალობების კურსების

დასახელებასთან იდენტიფიცირების მიზნით, ასევე გათვალისწინებული იქნა თარგმანის შესატყვისი სპეციფიკა და ადგილობრივი მისაღები ტერმინოლოგია. თუმცა, აღნიშნული საკითხი დაბრკოლებას არ წარმოადგენს სასწავლო პროცესისათვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა ექსპერტთა მოსაზრებებთან სასწავლო კურსების სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით:

„ტურიზმის შესავალი"- არსებობს 5კრედიტიანი სასწავლო კურსი „ტურიზმის საფუძვლები", რომელიც ისწავლება ტექნიკურ უნივერსიტეტში სხვა აკრედიტირებულ პროგრამებზე ბაკალავრიატის საფეხურზე. შესაბამისად, შეიქმნა ახალი სილაბუსი "ტურიზმის შესავალი" (6 ECTS) სპეციალურად ახალი პროგრამისათვის განსხვავებული სახელწოდებით.

„კლიენტთა მომსახურება" - (Customer Service) ძალზე მნიშვნელოვანი საგანია, რომელიც მომსახურების მომწოდებლებისთვის მომსახურების ტექნოლოგიური ციკლის განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს. დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია, სასწავლო კურსის სახელწოდება ჩაანაცვლოს სასწავლო კურსით - „ტურისტული მომსახურების ხელოვნება", რაც სავსებით შეესაბამება საგნის სილაბუსის მიზანს.

„მთის უსაფრთხო ტურიზმი „ - აღნიშნული ჩანაცვლდება სახელწოდებით - „უსაფრთხოება სამთო ტურიზმში".

„მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები" - ერთმნიშვნელოვნად გადაწყდა, რომ სასწავლო კურსის სახელწოდება შეიცვალოს და ეწოდოს - „ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები".

„ტურიზმი მთის რეგიონებში" სახელწოდება შეიცვალა - „ტურიზმის განვითარების სპეციფიკა მთის რეგიონებში" ამ სახელწოდებით.

„საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია"- აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიაჩნია, რომ სასწავლო კურსის სახელწოდება სავსებით მისაღებია.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები მოყვანილი იქნება შესაბამისობაში სასწავლო კურსის სახელწოდებების ცვლილებასთან მიმართებაში.

მეხუთე რეკომედაციიდან გამომდინარე, დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი პოზიცია:

„ბრენდინგი" - ეს სასწავლო კურსი ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურის სასაწავლო კურსია;

„მომხმარებლის ქცევა" - აღნიშნული საგნის შემთხვევაში, უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე სასწავლო კურსი „ტურისტული მომსახურების ხელოვნება" („კლიენტთა მომსახურება'') უფრო მიზანშეწონილია;

„ლოჯისტიკა"- ლოჯისტიკა, როგორც ცალკე აღებული სასწავლო კურსი ისწავლება დაწესებულების სამაგისტრო პროგრამაზე. ტურისტული ლოჯისტიკის საფუძვლები კი განიხილება სასწავლო კურსებში, როგორიცაა: „ტურიზმის შესავალი", „ტუროპერეიტინგი", „სასტუმროს მომსახურება და მართვა".

„კლიმატის ცვლილება" - პროგრამის სასწავლო კურსში -„მთის მდგრადი განვითარების საფუძვლებში" განხილულია კლიმატის (მათ შორის კლიმატის ცვლილების) საკითხები მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონული მასშტაბით;

„გარემოს დაცვა და ეკოლოგია" - დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ეს საკითხები დეტალურად განიხილება პროგრამის 5 სხვადასხვა სასწავლო კურსში შესაბამისი რაკურსით; მაგალითად, მდგრადი განვითარების, მწვანე ეკონომიკის, ეკო-სასოფლო ტურიზმის და ა.შ. სასწავლო კურსებში.

„კურორტოლოგია" - დაწესებულების მოსაზრებით მაგისტრატურის საფეხურის საგანია, მითუმეტეს, ბაკალავრიატის პროგრამაში არის სასწავლო კურსი - „საქართველოს მთიანეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები";

„დაზღვევა და უსაფრთხოება" - უსაფრთხოების საკითხები აკადემიურად არის განხილული „მთის უსაფრთხო ტურიზმში", სილაბუსის შინაარსში შესაძლებელია დამატებით შეტანილი

იქნას საკითხი სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის შესახებ სილაბუსის მოდიფიცირების დროს;
„ბიზნესის სამართლებრივი გარემო“ - განიხილება სასწავლო კურსში „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“;
„ბიზნესის ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“ - აღნიშნულ საგანთან მიმართებით უნივერსიტეტს ცალსახად მიაჩნია, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლება უმჯობესია მაგისტრატურის საფეხურზე;
რაც შეეხება სასწავლო კურსს „ეთიკა და მოლაპარაკებების ხელოვნება ტურიზმში“, აღსანიშნავია, რომ მასში განიხილება ბიზნეს ეთიკის საკითხები.
რაც შეეხება მეექვსე რეკომენდაციას, დაწესებულებამ განმარტა, რომ სამიზნე ჯგუფის მიერ გადამოწმდა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები: „ტურიზმი მთის რეგიონებში“, „მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები“, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა“. სამივე სასწავლო კურსისთვის შექმნილია სპეციალური ლექციების კურსი/რიდერი. სილაბუსების შინაარსის გადაფარვას ადგილი არ აქვს, სრულიად შესაბამისობაშია, თუმცა, სრულყოფის პროცესი გრძელდება.
მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პროგრამაში პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად ჩადებულია საგნების ნუსხა - „მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები“ (6 ECTS), „ტურიზმის საფუძვლები“ (6 ECTS), მთის ეთნოკულტურა და რეგიონის გიდი“ (5 ECTS), „ტურიზმი მთის რეგიონებში“ (5 ECTS), “აგრო ფერმერული ტურიზმი/ეკო-სასოფლო ტურიზმი” (5 ECTS). შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა პრაქტიკა, რაც გულისხმობს, რომ პრაქტიკის გავლის აუცილებელი წინაპირობაა 5 სასწავლო კურსი 27 (ECTS) კრედიტის ოდენობით.
მერვე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რომელიც უზრუნველყოფს საველე/საწარმოო პრაქტიკის გავლას თიანეთის მერიასა და თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ იურიდიულ პირებს, საწარმოებს (ინდმეწარმე) და ამხანაგობებში. გარდა ამისა, ხელშეკრულებები გაფორმებულია რამდენიმე ინდმეწარმესთან გუდაურში, რაჭაში, სვანეთში. უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ საველე პრაქტიკის გავლა თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებულ იურიდიულ საწარმო-დაწესებულებებში ტერიტორიულად უფრო გამართლებულია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს სხვა რეგიონების დამსაქმებელთა ჩართულობას აღნიშნულ პროგრამაში. ეს საკითხი მიმდინარე ცოცხალი პროცესია და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას. ექსპერტთა მოსაზრებები მისაღებია, მიმდინარეობს ტექნიკური პროცედურები, მომავალში მხედველობაში მიიღება მუშა ჯგუფის მიერ სილაბუსების ყოველწლიური განახლების დროს.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბაზები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პრაქტიკიდან გამომდინარე მუდმივად ხდება პირველკურსელებისთვის სილაბუსის გაცნობასთან ერთად ბაზების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა სიახლეს წარმოადგენს და მას ჯერ-ჯერობით არ ჰყავს სტუდენტები, უნივერსიტეტი მიჩნევს, რომ უმჯობესია აღნიშნული რეკომენდაციის რჩევის სახით განხილვა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა მეთერთმეტე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში. ამასთან დაკავშრებითაც უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია, შესაბამისად მას არ ჰყავს არც პირველკურსელები და არც კუსრდამთავრებულები, აქედან გამომდინარე პროგრამის განვითარებაში სტუდენტების ჩართვა ამ ეტაპზე სირთულეს წარმოადგენს. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშრებითაც უნივერსიტეტის პოზიციას წარმოადგენს მისის რჩევის სახით განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დააზუსტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვა ,,მდგრადს“ მთის ტურიზმთან მიმართებაში და რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამის შინაარსის გადმოსაცემად.
პროგრამის ხელმღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტი ეცადა ერთ მთლიან სისტემაში მოექცია ერთმხრივ მთის ეთნოკულტურა და ბიოსისტემები, ხოლო მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც გულისხმობს რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვით პრობლემებს და მათი აღმოფხვრის გზებს. სწორედ ამისთვის, უნივერსიტეტმა შეარჩია მართვის აუცილებელი ბერკეტები და აღნიშნული ტურიზმის სფეროსკენ მიმართა.
აღნიშნულ საკითხთან მიმართებით კომენტარი გააკეთეს ექსპერტებმაც, კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ მდგრად ტურიზმში ძირითადად აქცენტები გაკეთებულია იმ საკითხებზე, რაზეც ხაზგასმულია სახელმწიფოს და რეგიონალური განვითარების სტრატეგიებში. ამ კუთხით, თუ უნივერსიტეტმა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა მიიღო, ნამდვილად მისასალმებელია მსგავსი პროგრამის არსებობა. ექსპერტთა თქმით, მათთვის პრობლემურია ,,მასპინძლობის მენეჯმენტის“ საკითხი, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი პროგრამა უნივერსიტეტს ჰქონდა მაგისტრატურის საფეხურზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ მთა ბიომრავალფეროვნების გარდა მდიდარია ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ტრადიციული კომპონენტებით, შესაბამისად, განსაკუთებით საერთაშორისო მკვლევრების რჩევის გათვალისწინებით აღნიშნული სახელწოდების პროგრამის შემოტანა საკმაოდ მნიშვნელოვანია. დაწესებულებამ ასევე განმარტა, რომ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამები გვხვდება ევროპის სასწავლო სივრცეში, შესაბამისად, მოცემულ პროგრამას საფუძვლად უდევს აპრობირებული ევროპული პროგრამები, რაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა არა მარტო უნივერსიტეტისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის.
გიორგი თურქიამ, ასევე ისაუბრა იმ საგნებზე, რომელთა სწავლებაც აუცილებელია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, მნიშვნელოვანია დაემატოს საგანი ,,პროექტების მართვა“, რაც ტურიზმის სფეროში აუცილებელია. ასევე მან აღნიშნა ,,ფინანსური მენეჯმენტი“ უმჯობესია არა გლობალურ, არამედ სასტუმროების დონეზე იყოს განხილული. თუ მიდგომა მეტად გლობალურია ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიუჯეტირებაზე. ასევე პროგრამის სფეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტს უნდა შეეძლოს ბიუჯეტის პროექტის გაკეთება, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მათ შეისწავლონ როგორც ფინანსური კალკულაციები, ასევე მენეჯერული აღრიცხვა.
საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა ,,გასტრონომიის“ სილაბუსზე და აღნიშნა, რომ მასში ძირითად მოყვანილია შოტლანდიის მაგალითები და საკითხი განხილულია მეტად გლობალურად. აქედან გამომდინარე უმჯობესი იქნება, თუ ლექციები შეეხება კონკრეტულად მთის სამზარეულოსაც.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ მოცემული პროგრამა დაბალანსებულია. შემდგომი მუშაობის პერიოდში კი მოხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა პროგრამის დასახვეწად.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა რჩევის სახით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანში გამოკვეთილია მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტის მომზადება, თუმცა არ გვხვდება ,,მასპინძლობის მენეჯმენტის“ საკითხი, ხოლო მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში აღნიშნული საკითხი გამოკვეთილია. შესაბამისად მნიშვნელოვანია, მიზნებში არსებული ინფორმაციის დაკორექტირება და მასში ,,მასპინძლობის მენეჯმენტის“ საკითხების განხილვა.

გარდა ამისა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ დასკვნის უნარზე, მაშინ, როცა უნდა იყოს მოცემული ყველა ის უნარ-ჩვევები, რასაც სტუდენტი დაეუფლება პროგრამის გავლის შედეგად. ასევე საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ ისაუბრა კონკრეტულ საგნებზე და აღნიშნა, რომ ,,საკომუნიკაციო საფუძვლები" ისწავლება უნივერსიტეტის სხვა პროგრამებზეც. მოცემული საკითხები, დაწყებითი სწავლების საფეხურზე ყველგან ისწავლება და ამას საუნივერსიტეტო კურუკულუმი არ უნდა იმეორებდეს.
რაც შეეხება ,,რელიგიის ისტორიას", მასში ძირითადად მოცემულია საქართველოს ისტორიის საკითხები. შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნული საგნის სილაბუსის დაკორექტირება. ასევე ქალბატონი ნინო შეეხო ,,საქართველოს ისტორიისა და კულტურის" სილაბუსს და განმარტა, რომ მასშიც ასევე მხოლოდ საქართველოს ისტორიის საკითხებია მოცემული და არ არის საუბარი კულტურის ძირითად თემებზე. ასევე აუცილებელია, რომ ისტორია განხილული იყოს მთიან რეგიონებთან ბმაში. რაც შეეხება ,,გამოყენებით ინფორმატიკას", მასში მოცემულია ისეთი საკითხები როგორიცაა პროექტები დაგეგმვა, განხორციელება, ადამიანური რესურსების მართვა, რაც სრულიად შეუსაბამოა საგნის შინაარსთან.
საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა დააზუსტა არის თუ არა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული საველე პრაქტიკა და რას გულისხმობს იგი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული თიანეთის მუნიციპალიტეტთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. საველე პრაქტიკის დროს სტუდენტებს თან ახლავთ ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან და ასევე მუნიციპალიტეტიდან, რომელიც მონიტორინგს უწევს აღნიშნულ აქტივობას. პრაქტიკის განმავლობაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს აუცილებელი აღჭურვილობით.
ქალბატონმა მანანამ ასევე დააზუსტა, რამდენად ითვალისწინებს პროგრამა სტუდენტებისთვის გარკვეული პერიოდით საოჯახო სასტუმროებში მუშაობას. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულება გულისხმობს არა მარტო საველე პირობების შექმნას, არამედ საწარმოო პრაქტიკასაც, რაც მოიცავს სტუდენტების მცირე ტურისტულ ბიზნესში დასაქმებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო:15:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და 1 წელში მონიტორინგის განხორციელებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც ასევე

გათვალისწინებული იქნება სასწავლო კურსების სპეციფიკა;
ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კურიკულუმი/სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო კურსები მეტად უნდა პასუხობდეს დარგის სპეციფიკას/მოთხოვნებს;
გ) დაზუსტდეს სასწავლო კურსების სახელწოდებები, როგორიცაა: ტურიზმის შესავალი, კლიენტთა მომსახურება, მთის უსაფრთხო ტურიზმი, მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები, ტურიზმი მთის რეგიონებში, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია;
დ) გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
ე) კურიკულუმში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბრენდინგი, მომხმარებლის ქცევა, ლოჯისტიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, კურორტოლოგია, დაზღვევა და უსაფრთხოება, ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;
ვ) გადამოწმდეს სასწავლო კურსების: ,,ტურიზმი მთის რეგიონებში, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა“ სილაბუსების შინაარსი საკითხების განმეორების/დაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით;
ზ) საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად გარდა საველე პრაქტიკისა განისაზღვროს დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსებიც;
თ) რეკომენდირებულია პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის პროფილის განსაზღვრა წარმოდგენილი პროგრამის (სამთო ტურიზმი, მდგრადი განვითარება) სპეციფიკიდან გამომდინარე;
ი) გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების წესების შესახებ;
კ) რეკომენდირებულია პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების აქტიური ჩართვა;
ლ) რეკომენდირებულია სტუდენტების და კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართვის მექანიზმის ამოქმედება.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

2. მეორე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარიის

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი N79., 0189 სარაჯიშვილის ქ. N17
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განამრტეს, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 16 ივნისს. აკრედიტაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ მხარეს. ვიზიტი პოზიტიურად მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საკმაოდ მოტივირებულია პროგრამის განვითარების ხელშეწყობაში, პროგრესულად აზროვნებს და საფუძვლიანად ერკვევა პროგრამის შინაარსში, სტრუქტურასა და მის მნიშვნელობაში. პროგრამის აკადემიური პერსონალი დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონეა. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის განვითარებისთვის გაუზიარა რეკომენდაციები, რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 2.1, 2.2, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, 1.1, 1.2, 2.4, 2.5 და 2.6 მეტწილად, ხოლო 2.3 და 4.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს, ისე რომ იყოს კონკრეტული, მკაფიო და შინაარსობრივად არ გადაფარავდეს ერთმანეთს;
2. გასწორდეს და დაკორექტირდეს პროგრამის მიზნების კურსების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა;
3. სრულყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების/დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი;
4. სწავლის შედეგების რუქა და სწავლის შედეგების შეფასების სქემა დაზუსტდეს, დაკორექტირდეს, შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმთან და პროგრამასთან;
5. სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით მოხდეს მათი შეფასების სისტემის განვითარება;
6. კურსის შედეგები აისახოს მისი შეფასების მეთოდებში და ასევე პროგრამის შედეგებში;
7. სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მის სტრუქტურასთან და შინაარსთან;
8. სილაბუსებში მიეთითოს ყველა არსებული ახალი ქართული ლიტერატურა, ასევე თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროები. მოძველებული ლიტერატურა (მისი ფასეულობის შემთხვევაში) გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურის კატეგორიაში;
9. დაკორექტირდეს სილაბუსების შინაარსი შემდეგი საგნებში: სავეტერინარო იმუნოლოგია, სავეტერინარო ვირუსოლოგია, ზოგადი პათო ფიზიოლოგია, სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სავეტერინარო გენეტიკა და ცხოველთა მომშენებლობა, შინაგანი დაავდებები, ჰისტოლოგია, პათ ანატომია, პროპედევტიკა და რადიოლოგიის საფუძვლები. გამარტივდეს და ოპტიმიზირდეს პრაქტიკის სილაბუსის შეფასების სისტემა;
10. დარგობრივი პრაქტიკის (კლინიკური პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა) და სამეცნიერო ნაშრომის სილაბუსებში კორექტირებულ იყოს უზუსტობები.
11. გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
12. უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის კომიტეტი ან მემორანდუმი გაფორმდეს სხვა დაწესებულებასთან ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ;
13. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას კვლევის შესასრულებლად არაინტერვენციული (ობსერვაციული) კვლევების დაშვებაც;
14. შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და გამომუშავებული კომპეტენციების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება ფინალურ გამოცდაზე;
15. აუცილებელია ცხოველების სამოდელო მულაჟების, ანატომიის ატლასების, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხების, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატების, ქირურგიული და გინეკოლოგიური ინსტრუმენტების შეძენა;
16. ქირურგიული სამანიპულატორო ოთახის მოწყობა, შესაბამისი აღჭურვით (ქირურგიული ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.);
17. მიკრობიოლოგიური სამუშაოების ნარჩენების გასაუვნებლად აუცილებელია შეიძინონ ავტოკლავი, რისთვისაც უნდა გამოიყოს შესაბამისი სივრცე;
18. ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სივრცის მოწყობა, შესაბამისი აღჭურვით (სისხლის ბიოქიმიური და ჰემატოლოგიური ანალიზისთვის, შარდის ფიზიკო-ქიმიური ანალიზისთვის, ფეკალის პარაზიტოლოგიური ანალიზისთვის და სხვ.).

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებზე და წარმოადგინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ:
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს ვეტერინარიის დარგის განმარტებები, რომლებშიც ნათლადაა განსაზღვრული თუ რა ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით უნდა იყოს აღჭურვილი ვეტერინარი. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნები მკაფიოდ (ნათლად) არის ჩამოყალიბებული და პასუხობს სტანდარტების მოთხოვნებს.
რაც შეეხება პროგრამის მიზნების დაკვირვებადობას, გაზომვადობასა და შეფასებადობას, ამ ტერმინთა გამოყენება უპრიანია სწავლის შედეგების შეფასებისთვის, რადგანაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების 1.1 ქვესტანდარტის მიხედვით პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. სტანდარტი არ მოითხოვს მიზნების დაკვირვადობას, გაზომვადობასა და შეფასებადობას. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი (თემატიკები) სწორადაა შედგენილი და უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნების მიღწევას.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით. ზემოთმოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, დაწესებულება არ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის მიერ პირველ რეკომენდაციაში მოყვანილი არგუმენტაციის მხედველობაში მიღების შემთხვევაში, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის ცვლილება დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, აღარ იქნებოდა საჭირო.
მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოში მოცემული მითითებები, რომლის თანახმადაც, სწავლის შედეგები არ უნდა იყოს ძალიან ბევრი და არც იმდენად მცირე, რომ მათ ვერ უზრუნველყონ პროგრამის მიზნების მიღწევა. „ოქროს წესად“ მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება, რაც საფუძვლად დაედო ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობისას სწავლის შედეგების ფორმირებას.
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების შესაფასებლად, შემუშავებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 დანართი (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება), სადაც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრული ციკლი.
დაწესებულების წარმომადგენიმა აღნიშნა, რომ თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად შერჩეულია შესაბამისი ინდიკატორები, შედგენილია ინდიკატორების შეფასების რუბრიკა, რომლითაც განსაზღვრულია ინდიკატორით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის დონე. იგივე ცხრილი მოიცავს ინდიკატორების სასწავლო კურსებთან და სწავლის შეფასების მეთოდებთან შესაბამისობის რუკას, რომელშიც გაწერილია ის სასწავლო კურსები და შეფასების მეთოდები, რომლითაც მიიღწევა ინდიკატორით გათვალისწინებული სწავლის შედეგი. საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის შეფასების ვადა და შედეგების შემოწმების (შეფასების) თანმიმდევრულობა. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად. დოკუმენტი დეტალურად აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და პროცესს. სტუდენტის შეფასება ხდება გამოვლენილი ცოდნის დონის შესაბამისად. ზემოაღნიშნული შედეგების შეფასება და გაზომვა შესაბამისი სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება პრაქტიკული დავალებებით, რაც

მითითებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და პროგრამის დანართში - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობა გვიჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მაჩვენებლები არის დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი. ამასთან, სწავლის შედეგების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებისათვის, გამოყენებული იქნება ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული ზმნებით სწავლის შედეგების ფორმულირების მეთოდი და განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები სწავლის შედეგებში.

უნივერსიტეტის მხრიდან გაზიარებული იქნება მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია პროგრამის შედეგების სწორი შედგენა და ამიტომაც გამიზნული აქვთ მათი ფორმულირება ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული ზმნების გამოყენებით, რაც უზურნველყოფს შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის გამოვლენას. თუმცა, როგორ არის შესაძლებელი პროგრამის შედეგების სწორი შედგენით, კურიკულუმის რუკა იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, ეს საკითხი მოითხოვს დეტალურ დაზუსტებას, რადგანაც აღწერით ნაწილში ინფორმაცია ამის თაობაზე არ იკვეთება. დაწესებულება ასევე იზიარებს მეხუთე რეკომენდაციასაც, ვინაიდან ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული ზმნებით სწავლის შედეგების ფორმულირების შემთხვევაში, დადგება ცვლილებათა განხორციელების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკასა და სწავლის შედეგების შეფასების სქემაში.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსების შეფასების სისტემები მოიცავს ლაბორატორიული და პრაქტიკული საქმიანობის შეფასებას, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით. შუალედური შეფასებები აგრეთვე ხორციელდება ზოგადად მიღებული შეფასების ისეთი ფორმებით, როგორიცაა ტესტირება, რეფერატები, პრეზენტაციების მომზადება. გარდა ამისა, ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია შეფასების პრაქტიკული მეთოდები. მაგ: სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკა“ სადიაგნოსტიკო პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სასწავლო კურსში „მეანობა და რეპროდუქტიული ორგანოების დაავადებები“ - გინეკოლოგიური ავადმყოფების კლინიკური გამოკვლევა, სასწავლო კურსში „პარაზიტოლოგია“ - ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო კვლევა, სასწავლო კურსში „პროპედევტიკა რადიოოლოგიით“ - სადიაგნოსტიკო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება, სასწავლო კურსში „შინაგანი დაავადებები 2“ - ცხოველთა კლინიკური გამოკვლევა, მკურნალობა და ავადმყოფობის ისტორიის შედგენა, კლინიკური პრაქტიკის სილაბუსით - ცხოველის კლინიკური გამოკვლევა (დამოუკიდებელი დავალება) და ცხოველის ხელოვნური დათესვლის ტექნიკა (დამოუკიდებელი დავალება), საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით - ცხოველის კლინიკური გამოკვლევა და ავადმყოფობის ისტორიის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო), ცხოველის ლეშის სექცია და გაკვეთის ოქმის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო), ეპიდემიოლოგიურ/ეპიზოოტოლოგიური მდგომარეობის მოკვლევა და აქტის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო).

მიუხედავად ამისა, პროგრამის აკრედიტების შემდეგ სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით, ეტაპობრივად მოხდება შეფასების სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. იმის გათვალისწინებით, რომ OSCE-ს დანერგვა დაკავშირებულია სირთულეებთან, შორეულ პერსპექტივაში მაინც გათვალისწინებულია, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემაში დაინერგოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE). მსგავსი შეფასების სისტემა უკვე მოქმედებს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე.

რაც შეეხებ მეშვიდე რეკომენდაციას, სასწავლო კურსის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შესაბამისობა უზრუნველყოფილია და დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N2-ში მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული ზმნებით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილება აისახება სასწავლო კურსის შედეგებშიც. სასწავლო კურსის შეცვლილი შედეგების შესაბამისად მოხდება შეფასების მეთოდების დაკორექტირება. რაც შეეხება, შუალედური და

საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს, ისინი არ არის უნიფიცირებული მთელი უნივერსიტეტისთვის და განსხვავდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (მაგ: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენიის ზღვარია - 50%, ხოლო დასკვნითი გამოცდისა - 50% +1, მაშინ როცა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე კომპეტენციათა ზღვარი შუალედური შეფასებების შემთხვევაში წარმოადგენს 30% -ს, ხოლო დასკვნით გამოცდაზე- 50%-ს). უნივერსიტეტის პოზიციით, აღნიშნული ზღვრების საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე უნიფიცირება მართებულია, სტუდენტთა შორის სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის დონეზე კომპეტენციათა ზღვრების თავისუფლება, დატოვებს განცდას, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლება ბევრად უფრო მკაცრად მიმდინარეობს, სხვა სასწავლო კურსებთან შედარებით, სადაც კომპეტენციათა ზღვარი უფრო დაბალია.

მნიშვნელოვანია ასევე უნივერსიტეტის პოზიცია მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები არ არის უნიფიცირებული არც საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეზე. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს აკადემიური თავისუფლება, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს სწავლება-სწავლის მეთოდები და შედეგების შეფასების მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდებად გარდა თეორიული სწავლებისა, გამოიყენება პრაქტიკული სწავლების და ლაბორატორიული მეთოდები. გაზიარებული იქნება რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების სასწავლო კურსის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე და რიგ სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების მეთოდებს დაემატება კომპეტენციათა მიღწევის სპეციფიკური მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური და საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები არ არის უნიფიცირებული მთელი უნივერსიტეტისთვის და განსხვავდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (მაგ: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენიის ზღვარია - 50%, ხოლო დასკვნითი გამოცდისა - 50% +1, მაშინ როცა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე კომპეტენციათა ზღვარი შუალედური შეფასებების შემთხვევაში წარმოადგენს 30% -ს , ხოლო დასკვნით გამოცდაზე- 50%-ს). უნივერსიტეტის პოზიციით, აღნიშნული ზღვრების საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე უნიფიცირება მართებულია, სტუდენტთა შორის სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის დონეზე კომპეტენციათა ზღვრების თავისუფლება, დატოვებს განცდას, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლება ბევრად უფრო მკაცრად მიმდინარეობს, სხვა სასწავლო კურსებთან შედარებით, სადაც კომპეტენციათა ზღვარი უფრო დაბალია.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაზიარებული იქნება მეცხრე რეკომენდაციის შინაარსი. სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდება ლიტერატურის განახლება ახალი ქართული ლიტერატურით და თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროებით, ხოლო მოძველებული ლიტერატურა გადატანილი იქნება დამხმარე ლიტერატურულ წყაროებში. უნივერსიტეტმა ასევე გაიზიარა მეათე რეკომენდაციის შინაარსი და შედეგად სავეტერინარო იმუნოლოგიის, სავეტერინარო ვირუსოლოგიის, ზოგადი პათო ფიზიოლოგიის, სავეტერინარო მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, ეპიდემიოლოგია/ეპიზოოტოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სავეტერინარო გენეტიკისა და ცხოველთა მომშენებლობის, შინაგანი დაავადებების, ჰისტოლოგიის, პათ ანატომიის, პროპედევტიკისა და რადიოლოგიის საფუძვლებით სასწავლო კურსების სილაბუსებში აღმოფხვრილი იქნება დაშვებული ხარვეზები. დაწესებულებამ ასევე სრულიად გაიზიარე მე-11 და მე- 12 რეკომენდაციები.

მე-13 რეკომენდაცია უნივერსიტეტმა გაიზიარა მხოლოდ არაინტერვენციული (ობსერვაციული) კვლევის დაშვების ნაწილში.

რაც შეეხება მე-14 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედ საგანმანთლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს აქვს სრული აკადემიური თავისუფლება თავად შეარჩიონ სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები სასწავლო

კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. შეფასების ფორმების ნაწილში გაზიარებული იქნება გაცემული რეკომენდაცია. მაპროფირებელ სასწავლო კურსებში, სპეციფიკიდან გამომდინარე დაემატება კომპეტენციათა მიღწევის სპეციფიკური მეთოდები.
შორეულ პერსპექტივაში, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემაში დაინერგება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).
მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების შეფასების სისტემები მოიცავს შუალედურ შეფასებებს, რომელიც ხორციელდება ზოგადად მიღებული შეფასების ისეთი ფორმებით, როგორიცაა ტესტირება, რეფერატები, პრეზენტაციების მომზადება. გარდა ამისა, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება პრაქტიკული სწავლების და ლაბორატორიული მეცადინეობის შეფასება სტუდენტის აქტივობის მიხედვით. ცალკეულ საგნებში გამოყენებულია შეფასების პრაქტიკული მეთოდები. მაგ: სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკა“ სადიაგნოსტიკო პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სასწავლო კურსში „მეანობა და რეპროდუქტიული ორგანოების დაავადებები“ - გინეკოლოგიური ავადმყოფების კლინიკური გამოკვლევა, სასწავლო კურსში „პარაზიტოლოგია“ - ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო კვლევა, სასწავლო კურსში პროპედევტიკა რადიოლოგიით“ - სადიაგნოსტიკო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება, სასწავლო კურსში „შინაგანი დაავადებები“ - ცხოველთა კლინიკური გამოკვლევა, მკურნალობა და ავადმყოფობის ისტორიის შედგენა, კლინიკური პრაქტიკის სილაბუსით -ცხოველის კლინიკური გამოკვლევა (დამოუკიდებელი დავალება) და ცხოველის ხელოვნური დათესვლის ტექნიკა (დამოუკიდებელი დავალება), საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით - ცხოველის კლინიკური გამოკვლევა და ავადმყოფობის ისტორიის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო), ცხოველის ლეშის სექცია და გაკვეთის ოქმის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო), ეპიდემიოლოგიურ/ეპიზოტოლოგიური მდგომარეობის მოკვლევა და აქტის შედგენა (დამოუკიდებელი სამუშაო). მიუხედავად მრავალფეროვანი შეფასების პრაქტიკული მეთოდებისა, გაგრძელდება შეფასების სისტემის შემდგომი სრულყოფა.
ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსებში საკმაო ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები (მაგ: კლინიკური დიაგნოსტიკა, მეანობა და რეპროდუქტიული ორგანოების დაავადებები, პარაზიტოლოგია, პროპედევტიკა რადიოლოგიით, შინაგანი დაავადებები 2 - კლინიკური და საწარმოო პრაქტიკის კურსები) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და გამდიდრება სამომავლოდაც გაგრძელდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაზიარებული იქნება ასევე ქირურგიული სამანიპულატორო ოთახის მოწყობის შესახებ გაცემული რეკომენდაცია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, მათ შორის ვეტერინარულ კლინიკებთან, რომელთაც გააჩნიათ თავიანთ კლინიკებში ქირურგიული მანიპულაციების ჩასატარებელი საოპერაციო ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ქირურგიული ინსტრუმენტებით, სასტერილიზაციო მოწყობილობებით და სხვა საჭირო ქირურგიული მასალებით და შექმნილია ყველა პირობა, ცხოველებზე ქირურგიული მანიპულაციების წარმოებისათვის.
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული ბაზები გამოყენებული იქნება, რეკომენდაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, სანამ უნივერსიტეტს არ ექნება საკუთარი ქირურგიული საქმიანობისათვის საჭირო რესურსი. ამასთან, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ერთ სემესტრში მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას, რამაც მისცა საშუალება დაედგინათ აღნიშნული პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს, რომ პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო კლინიკა ან აფილირებული კლინიკა ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მოცემულ შემთხვევაში, სტანდარტის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „ერასმუს+" -ის ინსტიტუციური განვითარების გრანტის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტმა მოამზადა პროექტი ესტონეთის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტთან (ტარტუს ქსელის წევრი), ლიეტუვის საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და ბუქარესტის აგრონომიული მეცნიერების და ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტთან პარტნიორობით. პროექტი ემსახურება საქართველოში ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობას ვეტერინარიის დარგში, რომლის საფუძველზეც გამიზნულია ევროპის უნივერსიტეტში შეიქმნას დიაგნოსტიკური კლინიკა, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდება მიკრობიოლოგიის, კლინიკური დიაგნოსტიკის, პარაზიტოლოგიის ლაბორატორიები, გინეკოლოგიური კაბინეტი და ქირურგიული საოპერაციო. აღნიშნული მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სტუდენტთა პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავებისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდება პროექტის დაფინანსება, უნივერსიტეტი საკუთარი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს კლინიკის მოწყობას.
აკრედიტაციის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა რეკომენდაციები და შესაბამისად პროგრამაში ცვლილებების შეტანა პერიოდულად მოხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ ვეტერინარია ევროპული დირექტივების მიხედვით ისევე რეგულირდება, როგორც მედიცინა. აქედან გამომდინარე კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ სამი კომპონენტის ცოდნა, ესენია: თეორიული ცოდნა, პრაქტიკული ცოდნა და მოპყრობა, დამოკიდებულება პაციენტისადმი. გაიანე სიმონიამ დააზუსტა, თუ როგორ მიაღწევს სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს თუ უნივერსიტეტს არ აქვს შესაბამისი სიმულატორები და აქედანგ გამომდინარე, არ ხდება სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება.
აღნიშნულთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული სწავლებისას უნივერსიტეტის იყენებს ვეტერინარიის მახასიათებლებში მოცემულ მეთოდებს.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე და გარდა ამისა მან ასევე დააზუსტა გრანტთან დაკავშირებული საკითხი, თუ უნივერსიტეტი ვერ მიიღებს გრანტს, როგორ მოხდება კლინიკური საგნების დაორგანიზება.
აღნიშნულ საკითხთან მიმართებით დაწესებულებამ განმარტა, რომ ისინი გეგმავენ 75 სტუდენტის მიღებას. პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული უნარების გაღრმავების მიზნით უნივერსიტეტი სტუდენტებს გზავნის პრაქტიკის ობიექტებზე, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი რესურსიც, კერძოდ: აუდიტორიები, მიკრობიოლოგიის აუდიტორია, ანატომიის, ციტოლოგიისა და ფიზიოლოგიის კაბინეტები, სადაც საწყის ეტაპზე ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები.
გიორგი თურქიამ ასევე დააზუსტა, თუ რამდენად რეალურია 75 სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე მუშაობით საუნივერსიტეტო სწავლების დროს დაკმაყოფილება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ 7 კლინიკასთან.

ერთ ჯერზე შეთანხმებისამებრ გაიგზავნება 5 სტუდენტი დარგობრივ პრაქტიკაზე. ერთი სემესტრის განმავლობაში კი შესაძლებელია 10 ჯგუფის გაგზავნა. შესაბამისად, სავსებით საკმარისი იქნება 7 ობიექტზე 75 სტუდენტის პრაქტიკული სამუშაოებით უზრუნველყოფა.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, რამდენად საკმარისი პროგრამის შედეგების მისაღწევად მხოლოდ ვეტერინარულ კლინიკებში პრაქტიკის გავლა და მოიცავს თუ არა პრაქტიკა როტაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს 30-მდე ობიექტი საწარმო პრაქტიკაზე, ხოლო კლინიკური პრაქტიკა არის ორ კვირიანი, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ვეტერინარულ კლინიკებში.
საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად არის პროგრამა ორიენტირებული კვლევითი უნარების განვითარებაზე, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს არ აქვს საკუთარი კლინიკები, ლაბორატორიები, სიმულატორები, ასევე პროგრამაში არ გვხვდება მეცნიერული კვლევის მეთოდებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს სათავსოები და ასევე ლაბორატორიული კაბინეტები. გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი, რათა მოახდინოს აუცილებელი აპარატურით კლინიკების უზრუნველყოფა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო:17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ, არ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება

კერძოდ, 1-ლი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან, შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს, ისე რომ იყოს კონკრეტული, მკაფიო და შინაარსობრივად არ გადაფარავდეს ერთმანეთს;
ბ) გასწორდეს და დაკორექტირდეს პროგრამის მიზნების კურსების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა;
გ) სრულყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების/დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი;
დ) სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების სქემა დაზუსტდეს, დაკორექტირდეს, შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმთან და პროგრამასთან;
ე) სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით მოხდეს მათი შეფასების სისტემის განვითარება;

ზ) კურსის შედეგები აისახოს მისი შეფასების მეთოდებში და ასევე პროგრამის შედეგებში;
თ) სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მის სტრუქტურასთან და შინაარსთან;
ი) სილაბუსებში მიეთითოს ყველა არსებული ახალი ქართული ლიტერატურა, ასევე თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროები. მოძველებული ლიტერატურა (მისი ფასეულობის შემთხვევაში) გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურის კატეგორიაში;
კ) დაკორექტირდეს სილაბუსების შინაარსი შემდეგ საგნებში: სავეტერინარო იმუნოლოგია, სავეტერინარო ვირუსოლოგია, ზოგადი პათო ფიზიოლოგია, სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სავეტერინარო გენეტიკა და ცხოველთა მომშენებლობა, შინაგანი დაავადებები, ჰისტოლოგია, პათ ანატომია, პროპედევტიკა და რადიოლოგიის საფუძვლები. გამარტივდეს და ოპტიმიზირდეს პრაქტიკის სილაბუსის შეფასების სისტემის;
ლ) გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
მ) უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის კომიტეტი ან მემორანდუმი გააფორმდეს სხვა დაწესებულებასთან ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ;
ო) სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას კვლევის შესასრულებლად არაინტერვენციული (ობსერვაციული) კვლევების დაშვებაც;
პ) შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და გამომუშავებული კომპეტენციების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება ფინალურ გამოცდაზე;
ჟ) აუცილებელია ცხოველების სამოდელო მულაჟების, ანატომიის ატლასების, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხების, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატების, ქირურგიული და გინეკოლოგიური ინსტრუმენტების შეძენა;
რ) ქირურგიული სამანიპულატორო ოთახის მოწყობა, შესაბამისი აღჭურვით (ქირურგიული ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.);
ს) მიკრობიოლოგიური სამუშაოების ნარჩენების გასაუვნებლად აუცილებელია შეიძინონ ავტოკლავი, რისთვისაც უნდა გამოიყოს შესაბამისი სივრცე;
ტ) რეკომენდირებულია ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სივრცის მოწყობა, შესაბამისი აღჭურვით (სისხლის ბიოქიმიური და ჰემატოლოგიური ანალიზისთვის, შარდის ფიზიკო-ქიმიური ანალიზისთვის, ფეკალის პარაზიტოლოგიური ანალიზისთვის და სხვ.)
უ) უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სიმულატორები, რათა მოხდეს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება და მათი შეფასება;
ფ) დაკორექტირდეს თავისუფალი კრედიტების საკითხი და ორიენტირდეს სტუდენტისთვის ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. აღნიშნული ასევე გაიწეროს პროგრამის შედეგებში;
ქ) პროგრამა მეტად ორიენტირებული იყოს კვლევითი უნარების განვითარებაზე.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს ევროპის უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს მდივანმა ნიკა თიკანაშვილმა დატოვა სხდომა. აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნად განისაზღვრა გიორგი თურქია.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 12 ივნისის N50 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, ჩარგლის ქუჩა N73, ნაძალადევის რაიონი, სასწავლო კორპუსი N1
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

აცილება განაცხადა - ნიკოლოზ კიკნაძემ.
აცილების საფუძველი - ხელშეკრულების არსებობა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა.
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა 29 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ვიზიტის შემოწმება განახორციელეს ექსპერტთა 4 კაციანმა ჯგუფმა. ვიზიტის დროს იმყოფებოდა უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი; განხორციელდა ასევე სტუდენტების, უნივერსიტეტის დამატებითი პერსონალის და პროფესორ-მასწავლებლების ონლაინ ჩართვები/ინტერვიუები. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ ბიბლიოთეკა, საგანმანათლებლო რესურსები, აუდიტორიები, კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სადეგუსტაციო ოთახი, ქართული ტრადიციული მარანი. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამის შინაარსი და კურსზე დაშვების წინაპირობები, ასევე ინტერვიუ ჩატარდა არსებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროსვე შემოწმდა სტუდენტთა ნაშრომები.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,მევენახეობა-მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 2.4, 2.6, 3.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, 1.2, 2.1, 2.2, 2.5 და 4.1, მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.3 და 3.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. ძირითადი სახელწოდება უნდა გასწორდეს ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: - ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **Master Degree Program in Georgian Citiculture and Enology;** ასევე **Oenology** სიტყვა უნდაშეიცვალოს Enology ით;
2. სასწავლო პროგრამის სახელწოდებებში შესატანია ცვლილებები (არასწორად არის ფორმულირებული სახელწოდება). კურსის შედეგებში და მიზნებში მხოლოდ მითითებული იყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების გადამზადება, რაც უნდა ჩასწორდეს როგორც "მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტით", რადგანაც კურსი ფართოდ ფარავს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ პროგრამას, როგორც ტრადიციული მეთოდებს ასევე თანამედროვე მიდგომებს.
3. აუცილებელია გარკვეული ჩასწორება გაკეთდეს შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმის დოკუმენტში - კერძოდ კი ჩასწორდეს სახელწოდებები:
პსშ 1 - ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი / ან ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების - მავნებლების კონტროლი;
პსშ 2 - სუფრის თეთრი, ვარდისფერი, წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება;
4. საჭიროა არჩევითი შესავალი კურსის / ან გაძლიერებული სასწავლო კურსის შემოტანა, სხვა კვალიფიკაციის მქონე საბაკალავრო სტუდენტების გადასამზადებლად - ისეთ საგნებში როგორიცაა: ორგანული ქიმია/ენოქიმია; ბიოლოგია და სხვა საჭირო საგნები;
5. გასათვალისწინებელია სილაბუსების სახელწოდებების და სილაბუსში არსებული შინაარსის სახეცვლილება სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია, 2.3. რეკომენდაციების ნაწილში თითოეული მოდულის მიხედვით;
6. სამაგისტრო პროგრამა არის უკვე სამეცნიერო მიმართულების და იგულისხმება რომ ლიტერატურა უნდა მიეთითოს სწორად და გამართულად. ასევე გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე, აქტუალური და სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა. უმეტესობა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა არაერთგვაროვანია სტილისტურად და ზოგჯერ

ცდომილებებითაა წარმოდგენილი. ნებისმიერ შემთხვევაში ლიტერატურის მითითებისას გარკვეული სტილი უნდა იყოს შერჩეული და მხოლოდ ერთი არჩეული სტილის სახით იყოს მოცემული; ეს ეხება როგორც პროფესორის მიერ მომზადებულ სილაბუსს, პრეზენტაციას, რიდერს, ასევე სტუდენტის ნებისმიერ ნაშრომს;
7. შინაარსობრივად გარკვეული მოდულების საკითხების გადაფარვა ხდება, დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია 2.3. რეკომენდაციების და რჩევების ნაწილში თითოეული მოდულის მიხედვით;
8. სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო საათების დაანგარიშებით პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დროის ნაწილი საკმაოდ მცირეა, მაგალითად პრეზენტაციებისათვის განკუთვნილია მხოლოდ 1 საათი ღვინის დეგუსტაციებში; 2 საათი მევენახეობის აგროტექნოლოგიაში; 2 საათი ყურძნისეული წარმოშობის მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიაში, 2 საათი მეღვინეობაში; აღნიშნული დრო გათვლილია 15-ზე მეტ სტუდენტზე, რაც პროპორციულად სტუდენტების რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მცირეა;
9. პროფესორ-მასწავლებლების უმეტესობას აქვთ მწირი გამოცდილება საერთაშორისო კვლევით საქმიანობებში. აუცილებელია მეტი კვლევების ჩატარება და საერთაშორისო სტატიებს გამოქვეყნება. სტუდენტებიც აქტიურად უნდა იყვნენ სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულები და უნდა ამაღლდეს სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიის შემუშავების და წერის კვალიფიკაცია, შედეგად კი უნდა მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე სტანდარტების დანერგვა კვლევებში.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია

1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისათვის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო ნაწილი ემთხვევა პრაქტიკულ სამუშაოებს ვენახებსა, თუ საწარმოში, რაც თავისთავად უფრო ნაყოფიერს და შედეგიანს გახდის სწავლის პროცესს. სწავლის განხორციელება მოხდება უნივერსიტეტში არსებული ადამიანური და მატერიალური ბაზის გამოყენებით, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ აითვისონ საწარმოში მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები და ასევე შეძლონ გააგრძელონ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა (უნივერსიტეტის მატერიალური კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე მიღებული ცოდნით). ასევე სასწავლო კურსი (სავარაუდოდ პროგრამა უნდა იყოს) გარდა ვაზის და ღვინის შესახებ არსებული საგნების მოიცავს მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის სასწავლო საგნებს, რაც თავისთავად შედეგიანია ამ ვიწრო სპეციალობის დარგის სპეციალისტების მომზადებისათვის და შესაბამისი უნარ-ჩვევებისათვისებისათვის“.
მეორე და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების ოქმი“, როგორც ასეთი, არ არსებობს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად შემუშავებული დოკუმენტი. რომელსაც „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ ქვია. ამ დოკუმენტში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (პსშ) გასწვრივ მითითებულია ის სასწავლო კურსები, რომლებიც პროგრამის კონკრეტულად ამ შედეგის გამომუშავებას უზრუნველყოფენ.
პროგრამის პირველი შედეგის პსშ 1 -ის გამომუშავებას უზრუნველყოფენ სასწავლო კურსები ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა და დაავადებათა კონტროლი; ხოლო პროგრამის მეორე შედეგის პსშ 2-ის გამომუშავებას უზრუნველყოფენ სასწავლო კურსები - სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება“.

თუ გათვალისწინებულ იქნება ექსპერტთა რეკომენდაცია სასწავლო კურსს „ვაზის მავნებელ დაავადებათა მართვა“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი“, პროგრამის I სწავლის შედეგის ჩანაწერი იქნება ასეთი:
პსშ 1 - ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი.
სასწავლო კურსის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი დააფიქსირა სილაბუსის ავტორმა და განმახორციელებელმა ასოცირებულმა პროფესორმა, ირმა მდინარაძემ. მას თავის კომენტარში მოყავს მთელი რიგი უცხოური უმაღლესი სასწავლებლები, სადაც იგივე საგანი იმავე სახელწოდებითაა პროგრამაში, როგორითაც ჩვენთან, თუმცა ის ვერც სახელის ცვლილებაში ხედავს პრობლემას, მხოლოდ თვლის, რომ ეს შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პროფესორმა.
რაც შეეხება II სასწავლო კურსს, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებულია ვარდისფერი ღვინის საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელებაც, ექსპერტთა აზრით ეს აუცილებლად უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში, რის შემდეგაც პსშ -2 ასეთი იქნება:
პსშ 2 - სუფრის თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება“. პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესორთა აზრით ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში“.
2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ქვესტანდარტი ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინასწარ განსაზღვრულ პირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს აბიტურიენტმა იმისათვის, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მოიპოვოს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ექსპერტებს რეკომენდაცია არა აქვთ, თუმცა არასწორია მათი ჩანაწერი:
„კურსზე დაშვების წინაპირობაა შიდა გამოცდა ან ინტერვიუ“. პირველ რიგში, კურსი არ არის პროგრამა, ამ ქვესტანდარტში ეკითხებიან სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და არა რომელიმე კურსზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. და მეორე, „უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად შესაძლოა ჩატარდეს გასაუბრება“ და არა ინტერვიუ, როგორც ამას ექსპერტები წერენ. შიდა გამოცდა / გასაუბრება მიმდინარეობს წინასწარ შექმნილ და რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიასთან, წინასწარ ცნობილ საკითხებსა და თემებზე, რომლებიც ორი თვით ადრე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდამდე / გასაუბრებამდე, განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საჯაროდ.
ექსპერტთა ჩანაწერი „ცალკეულ სილაბუსებში ჩასასწორებელია დაშვების წინაპირობები ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებისათვის სასურველი იქნება შესავალი კურსის შექმნა - ზოგად ქიმია, ბიოლოგია თუ სხვა საჭირო საგნებში, რაც დაეხმარება განსხვავებული კვალიფიკაციის სტუდენტებს მოცემული სასწავლო პროგრამა უფრო ეფექტურად და შედეგიანად აითვისონ“, არ უნდა იყოს ამ ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილში, ვინაიდან, კიდევ ერთხელ განმეორდებიან, ამ ქვესტანდარტში კითხვა ისმის პროგრამაზე დაშვების და არა კონკრეტულ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებზე.
ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2.1 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში არ უნდა იყოს, ვინაიდან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები აბსოლუტურად შეესაბამება 2.1 ქვესტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
რაც შეეხება 2.1 ქვესტანდარტის რეკომენდაციას, უნივერსიტეტი არ ეთანხმება, ვინაიდან ისინი სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი კი არა, სასკოლო კურსებია. რაც შეეხება ორგანულ ქიმიას, არაორგანული და ზოგადი ქიმიის კურსის ცოდნის გარეშე ამ კურსის შესწავლა წარმოუდგენელია. პროფესორებმა იმსჯელეს იმაზეც, რომ შეიქმნას არაორგანული ქიმიისა და ორგანული ქიმიის ინტეგრირებული არჩევითი სასწავლო კურსი, რომელსაც მხოლოდ განსხვავებული სპეციალობის სტუდენტები აირჩევენ, თუმცა, ამ სტუდენტებმა, სხვა

დანარჩენებთან ერთად, I სემესტრში ეს ინტეგრირებული კურსი ენოქიმიის სავალდებულო კურსის პარალელურად უნდა ისწავლონ, რაც ასევე დაუშვებელია. ამიტომ, პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ, განსხვავებული სპეციალობის მქონე სტუდენტებს, სწავლის დაწყებამდე, შესთავაზონ სპეციალურად მომზადებული ინტენსიური კურსი ქიმიასა და ბიოლოგიაში, რომლებიც სტუდენტებს შეასწავლის სამაგისტრო სასწავლო კურსების ასათვისებლად აუცილებელ საბაზისო საკითხებს. ასეთი პრაქტიკა უნივერსიტეტში არსებობს, განსაკუთრებით უცხოელ სტუდენტებთან მიმართებით, როცა, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე ირიცხება უცხოელი სტუდენტი, რომელსაც ქიმია ან ბიოლოგია სკოლაში საერთოდ არა აქვს გავლილი.

2.2 ქვესტანდარტთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
როგორც ექსპერტთა დასკვნის შემაჯამებელ ნაწილშია რეკომენდაცია „სასწავლო პროგრამის ძირითადი სახელწოდება უნდა გასწორდეს ინგლისურ ენაზე შემდეგნარიად: - **ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა Master Degree Program in Georgian Viticulture and Enology; ასევე Oenology** სიტყვა უნდა შეიცვალოს **Enology-ით.** საქმე იმაშია, **რომ Oenology -** ტერმინი გულისხმობს მეცნიერებას ღვინოზე და ღვინის დამზადების შესახებ.ესტერმინი დამკვიდრდა ინგლისურ ენაში **ტერმინ Enology"-ს** პარალელურად. ეს ინგლისური სიტყვა შედგება სიტყვისაგან: **oinos (ღვინო) და სუფიქსისგან „logia" (შესწავლა, ბერ ძნული).** ისინი ყველა ვალიდურ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც სინონიმები და თანაბარუფლებიანი ტერმინები. თუმცა, ბოლო დროს უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა ტერმინმა **Enology.** აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია გავითვალისწინოთ ექსპერტთა რჩევა, რომ პროგრამის სახელწოდებაში შევიდეს აღნიშნული ცვლილება, თუმცა, არ შეიძლება ეს იყოს იმპერატიული მოთხოვნა და რეკომენდაცია.
ამავე ქვესტანდარტში II რეკომენდაციაა - „კურსის შედეგებში და მიზნებში მხოლოდ მითითებული იყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების გადამზადება, რაც უნდა ჩასწორდეს როგორც „მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტით", რადგანაც სასწავლო პროგრამა ფარავს როგორც ტრადიციულ მევენახეობა მეღვინეობის სასწავლო პროგრამას ასევე ზოგადად მევენახეობას. პირველ რიგში, კურსის შედეგებში ექსპერტები ალბათ კვლავ პროგრამის შედეგებს გულისხმობენ. მეორე, არსად პროგრამის მიზნებსა და შედეგებში არ არის მითითებული, რომ პროგრამა გადაამზადებს სპეციალისტებს, პროგრამის მიზანი და შედეგი მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების მომზადებაა და არა გადამზადება. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის მიზანს, მისი პირველი აბზაცი, „სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ტრადიციულ ქართული მევენახეობა- მეღვინეობის დარგის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით შეიძლება ასე ჩასწორდეს: „სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით, ხოლო დანარჩენი დარჩეს უცვლელად: სტუდენტს შეასწავლოს ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის დამახასიათებელი ტექნოლოგიური და სამეურნეო – პრაქტიკული ციკლი; განათლების დამამთავრებელ ეტაპზე „შექმნას" ახალი ტიპის მევენახე, მეღვინე, აგროსამრეწველო პროცესებში ღრმად განსწავლული

ადამიანი, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგისა და ბიზნესის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე“. თუმცა, სწავლის შედეგებს თუ გადავხედავთ, იქ სწორედაც რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულის მომზადებაზეა საუბარი და არა მხოლოდ ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მცოდნე სპეციალისტის მომზადებაზე. ექსპერტებისგან პასუხგაუცემელი დარჩა ამ ქვესტანდარტის მთავარი კითხვა: პროგრამის შინაარსი თუ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, პროგრამის სტრუქტურა თუ არის თანმიმდევრული და ლოგიკური. შინაარსი და სტრუქტურა თუ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემთხვევაში, ქვესტანდარტი არ შეფასდებოდა როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, ვინაიდან ექსპერტები არსად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ პროგრამის შინაარსი არ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, არსად არ წერენ, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკური არ არის და არ წერენ, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რაც შეეხება 2.3 სტანდარტს, „სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ესენია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო - მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. სასწავლო კურსი (ალბათ ისევ პროგრამაზეა საუბარი და არა რომელიმე სასწავლო კურსზე) იძლევა შანსს მომავალმა სტუდენტებმა გამოიყენოს ცოდნა ახალ კვლევებში, რომლის სიმცირეც არის რეგიონში; როგორიცაა მაგალითად კვლევა ქვევრის ღვინის წარმოებაში, ქართული ენდემური ჯიშების შესწავლა და სხვ“. რაც შეეხება რეკომენდაციებს სილაბუსის უზუსტობებზე, კურსის შინაარსზე, სტრუქტურასა და ლიტერატურაზე დაწესებულებამ შემდეგნაირად უპასუხა: უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, პროგრამის შემუშავებასა და მის ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელებაზე პასუხისმგებლობა პროგრამის ხელმძღვანელსა და იმ აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს ეკისრება, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის არა მხოლოდ შემუშავებაში, არამედ მის განხორციელებაში, უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას და ეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. თავისი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში პროფესორი იღებს პასუხისმგებლობას იმ სასწავლო კურსზე კურსებზე, რომელსაც ის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. პასუხისმგებლობა ეხება: სწორად ფორმულირებულ სასწავლო კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და ფორმებს, შეფასების სისტემას, შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, სასწავლო გეგმას და მასში შემავალი შესასწავლი საკითხების,

სწავლების საფეხურთან ადექვატურ და ლოგიკურ თანმიმდევრობას და ბოლოს, რა თქმა უნდა, სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას; დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს არა მხოლოდ ამ პროგრამის, არამედ ნებისმიერი სხვა პროგრამის სილბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და თითქმის 80% შემთხვევაში, ბეჭდური სახით და არაერთი ეგზემპლარი. ანუ, პროფესორი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ სილაბუსში მითითებული ლიტერატურით სტუდენტი აუცილებლად მიაღწევს სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის შედეგს;

3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“, რომელშიც თანამედროვე

მოთხოვნებისა და დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, მუდმივად ხდება ცვლილებები. დოკუმენტი შეიცავს: სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, სადაც დეტალურადაა გაწერილი, რას უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა; როგორ უნდა გაფორმდეს სატიტულო ფურცელი, ანოტაცია, შინაარსი (სარჩევი); რა უნდა აისახოს შესავალში, ტექსტის ძირითად ნაწილში, დასკვნაში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს წარმოადგენს. დასკვნაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ უნდა მიეთითოს ლიტერატურა ნაშრომში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლექტორები მუდმივად ახორციელებენ სამეცნიერო- კვლევით საქმიანობას და მათი ნაშრომების გამოქვეყნებაც ხდება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ჟურნალებში. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ ეთანხმება ექსპერტებს ქვესტანდარტის შეფასებაში, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

4.1 რეკომენდაციასთან მიმართებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2016-2020 წლებშიმევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, სამეცნიერო მიმართულებით განხორციელბულ აქტივობები, კერძოდ:

1. **2016-2017 წ.** -შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდისსაგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამაგისტრო პროექტი - **„ველური ვაზის ფორმების საკოლექციო შესწავლა ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე“.**
2. **2017-2018 წ.** -შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდისსაგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი, მაღალი რანგის საერთაშორისო კონფერენცია **„ღვინო და ვაზი - ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები“** - წამყვანი ორგანიზაცია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ასეთი დონის სამეცნიერო კონფერენციას ანალოგი არ ჰქონია სულ მცირე უახლესი 3 ათეული წლის მანძილზე. მასში მონაწილეობდნენ უცხოეთისა და საქართველოს 12 სასწავლო და სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები, მონაწილეები იტალიიდან, აშშ-დან, ესპანეთიდან, კანადიდან, საბერძნეთიდან.
3. **2017-2018 წ.** -შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდისსაგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი, **„გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია - მე-2-ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია“,** წამყვანიორგანიზაცია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თანამონაწილე **-** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, პროექტის თანახელმძღვანელი - სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - ოლანი გოცირიძე;
4. **2018-2019 წ.-** ღვინის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით კვლევითი პროექტი -ქვეპროგრამის **„ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის“** ფარგლებში(ხელშეკრულება #192, 09.07.2018) ლაბორატორიული კვლევითი მომსახურების გაწევა ველური ვაზის (Vitis sylvestris) დაფესვიანების უნარის დადგენის მიზნით..
5. **2018-2019 წ.** -კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მცირე სამეცნიეროსაგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი **-„ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრის ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა“.**
6. **2019 -2020 წ.** -კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტურიკვლევების სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი - **„ანტიოქსიდანტური აქტივობის განმსაზღვრელი ზოგიერთი ფაქტორის კვლევა ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრში დაყენებულ ღვინოში“** (მიმდინარე).
7. **2019-2020 წ.** -სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ფაკულტეტის აკადემიურიპერსონალთან ერთად აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-საგრანტო

კონკურსებში როგორც ძირითადი და დამხმარე პერსონალის სტატუსით. მათი უშუალო მონაწილეობით მომზადდა საგრანტო პროექტები: **„მარნეულის მევენახეობის ისტორიული გეოგრაფია: შულავერის კულტურიდან დღემდე“; „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის საბავშვო უნივერსიტეტი“.**

8. **2020 წ.** -კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მცირე სამეცნიერო გრანტებისკონკურსისთვის მომზადდა პროექტი **„ვაზის იშვიათი ჯიშებისა და მათი ველური ნათესავების ამპელოგრაფიული აღწერა რაჭა-ლეჩხუმიდან და კახეთიდან“;**
9. **2017, 2018, 2019 წ.წ.**-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის,მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მე-5-ე, მე-6-ე და მე-7-ე საერთაშორისო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30-მდე მაგისტრანტმა და პროგრამის კურსდამთავრებულმა.
10. აკადემიური კეთილსინდისიერების, ინტელექტუალური საკუთრების პრინციპების აღიარებით კსუ-ში შემუშავდა და დაინერგა „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“ (2018, 26 აპრილი, ბრძანება #01-39), რომლის თანახმადაც ყველა სამაგისტრო ნაშრომი, ისევე, როგორც სადოქტორო ნაშრომი, განხორციელებული კვლევები და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში.
11. მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით ჩართულია ერაზმუს + პროექტში **“ლაბორატორიული უნარების განვითარება აღმოსავლეთ ევროპის აგროსასურსათო სპეციალისტებისათვის“** (“Improving skills in laboratory practice foragro-food specialists in Eastern Europe Region” (586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP). ამ პროექტის ფარგლებში 2019 წელს სამაგისტრო პროგრამის ორი სტუდენტი იქნა მივლინებული ტერამოს (იტალია) უნივერსიტეტში; პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა ექვსმა აკადემიურმა პირმა გაიარა ტრენინგები და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატები.
12. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კსუ-ს უწყვეტი განათლების სამსახურთან ერთად 2019 წელს სპეციალურად მომზადდა და განხორციელდა სასერტიფიკაციო ტრენინგ-კურსი: „მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის კონტროლი სურსათის უვნებლობის კონტექსტში“ - ტრენინგი ჩაუტარდა 25 პირს, რომელთაც მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.

რაც შეეხება საერთაშორისო სტატიების მომზადებას, ინტენსიურად მიმდინარეობსჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მასალებზე სტატიების მომზადება. მიმდინარე პერიოდისთვის, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად გაგზავნილია 7 სამეცნიერო სტატია, ისინი განხილვის პროცესშია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ 2015 წლიდან მოყოლებული, უნივერსიტეტში შეიქმნა და სათანადო დანადგარებითა და აპარატურით აღიჭურვა ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის, ენოქიმიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, მიკროვინიფიკაციის საექსპერიმენტო ლაბორატორია, ღვინის სადეგუსტაციო კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებათა ორგანიზებისათვის, კეთილმოწყობილი, კომფორტული საპროფესორო და სტუდენტური სივრცეები, სამუშაო კაბინეტები ფაკულტეტის თანამშრომლებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისათვის. განხორციელდა უპრეცენდენტოდ დიდი ფინანსური ინვესტიცია, რომელიც მოიცავდა დანახარჯებს სამშენებლო მიზნებისთვის, ლაბორატორიებისა და კაბინეტების ინვენტარისათვის, კომპიუტერული და ელექტრონული სისტემების კომპლექტაციისათვის, ლაბორატორიული დანადგარების, აპარატურის, საჭირო რეაქტივებისა და ჭურჭლის, ყურძნისა და დამხმარე მასალების შესაძენად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების

ექსპერიმენტალური და კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად საჭირო ნედლეულისა და მასალების შესყიდვას.

მხოლოდ 2017 წლიდან დღემდე მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ლაბორატორიების მოწყობაზე დახარჯულია 263360 ლარი; ვენახების გაშენებაზე - 47095 ლარი; სხვა დანარჩენ ხარჯებზე - 77000 ლარი, სულ - 387455 ლარი. 2019 წელს, კასპის რაიონის სოფელ ოკამში, 10 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გაშენდა ვენახი, რომლის შემორაგვას, სარწყავი სისტემებით აღჭურვას და ქარსაცავი ზოლის მოწყობას ჯამში 340.000 ლარის ინვესტიცია დასჭირდა.
ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის პირველი აკრედიტაციიდან დღემდე (2015-2020 წლებში), მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე დახარჯულია 1. 294.725 ლარი. შესაბამისად, დაწესებულებისთვის გაუგებარია, როგორ არ ნიშნავს პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დღეს არსებული მდგომაროება და მის განვითარებაზე დახარჯული მილიონზე მეტი ლარი, მნიშვნელოვან მიღწევას და პროგრესს.
რაც შეეხება პროგრამის შინაარს, მან განიცადა ცვლილებები და პროგრამას დაემატა 10 ახალი სასწავლო კურსი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა კარგად არის შემუშავებული. მან გამოყო ცალკეული სილაბუსების საკითხი, კერძოდ, საგანში - ,,ვენახის ნიადაგი და მისი ნაყოფიერების მართვა“ განხილულია ისეთი ნიადაგის ტიპები, რომლებზეც ვენახის გაშენება არ ხდება, ამიტომ უმჯობესია აღნიშნული საკითხები ამოღებული იქნას სილაბუსიდან.
გარდა ამისა, მე-13 კვირაში გათვალისწინებულია გასვლითი მეცადინეობები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმარისი რესურსი, რათა სტუდენტებმა ჩაატარონ ყველა ის ანალიზი რაც ნიადაგისთვის არის საჭირო, შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტოს ლაბორატორიის ანალიზის გასაკეთებლად გამოყენება არ არის აუცილებელი.
საბჭოს წევრის მოცემულ რჩევებს პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა და განაცხადა, რომ მოხდება მათი გათვალისწინება.
საბჭო წევრმა, გიორგი თურქიამ ასევე გამოყო სილაბუსების საკითხი და ურჩია დაწესებულებას მარკეტინგის სილაბუსების შინაარსის დახვეწა და ლიტერატურის გამრავალფეროვნება, კერძოდ:
,,ღვინის ტრადიციული ტექნოლოგიების“ შინაარსი არ არის კავშირში ტექნოლოგიებთან, ამიტომ უმჯობესია საგნის სახელი შეიცვალოს ,,ღვინის ქვეყნების გეოგრაფიით“, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს ტექნოლოგიების საკითხებზე აქცენტის გაკეთება.
ბატონმა გიორგიმ ასევე გამოყო საგანი, ,,ღვინის სამომხმარებლო კულტურა მსოფლიო ბაზარზე“ და განმარტა, რომ ან უნდა მოხდეს აღნიშნული საგნის ფსიქოტიპსა და ქცევის დონის შესაბამისად განხილვა, ან მოხდეს საგნის მარკეტინგული კუთხით სწავლება. ასევე უნდა დაიხვეწოს საგნის შინაარსი და მიზანი.
უნივერსიტეტის წარმომადგენემა განაცხადა, რომ ისინი მოახდენენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას და რჩევების გათვალისწინებას.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებისა და მიღების საკითხზე, კერძოდ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ინფორმაცია. გარდა ამისა ისაუბრა ციტირებაზე. დებულებაში მოცემულია, თუ როგორი უნდა იყოს ნაშრომის სტრუქტურა, სადაც მოყვანილის ციტირების ნიმუშიც, თუმცა კონკრეტულად არ არის მითითებული თუ ციტირების რომელი წესია გამოყენებული, რაც აუცილებელ ინფორმაციას წარმოადგენს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდება მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. გარდა ამისა, მან დეტალურად აღწერა ნაშრომის მიღების პროცედურა, კერძოდ: დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომი ეგზავნება ხელმძღვანელს, რის შემდეგაც იგი იგზავნება რეცენზენტებთან, რომლებიც ადგენენ დასკვნას, მაგრამ არ წერენ ქულას. დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში კი სტუდენტი გადის ნაშრომის დაცვაზე, სადაც მას რეცენზენტები აფასებენ და დაცვის დასრულების შემდგომ არსებული კრიტერიუმების საფუძველზე წერენ ქულას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:40
დასრულების დრო:18:53

პროგრამა არ იქნა განხილული, როგორც ახალი. ვინაიდან პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება გამოიწვია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებულმა ცვლილებებმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ

კერძოდ, მე-2 და მე-3 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:
ა) მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვან თარგმანი მიეთითოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად (Viticulture and Enology). ხოლო სახელწოდება დარჩეს უცვლელი;
ბ) გადაიხედოს, გამრავალფეროვნდეს და დაზუსტდეს ზოგიერთი საგნის შინაარსი და მითითებული ლიტერატურა (განსაკუთრებით, საგნებში: „ღვინის სამომხმარებლო კულტურა მსოფლიო ბაზრებზე,“ „ენოტურიზმი“, „ღვინის მარკეტინგი“);
გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან მიმართებით ყურადღება გამახვილდეს ერთობლივ კვლევებსა და საერთაშორისო პუბლიკაციებზე.
რჩევა
სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსები აისახოს შეფასების დოკუმენტში.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27

[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა სრული აკრედიტაცია.

მეოთხე და მეხუთე საკითხის განხილვა საბჭომ განსახილველად გადადო შემდეგი სხდომისთვის.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ტუფინაშვილი თამარ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი